საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
N 30965

1. სახელწოდება

ეკლესია კვირაცხოველი

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	საქართველო; მცხეთა-მთიანეთი; მცხეთა; ქსანი
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	

მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	+
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ობიექტი სტატუსის გარეშე
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის #	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის #	თავდაპირველი	

დოკუმენტის #	ამჟამინდელი	
რეესტრის #		
რეესტრში შეტანის თარიღი		

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

შუა საუკუნეები _ მე-4 – მე-18 სს.>>გვიანი შუა საუკუნეები _ მე-16-მე-18 სს.,

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
რელიგიური	რელიგიური, რიტუალური>>საეკლესიო ნაგებობა>>უგუმბათო ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპები>>დარბაზული ეკლესია;	რელიგიური, რიტუალური>>საეკლესიო ნაგებობა>>უგუმბათო ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპები>>დარბაზული ეკლესია;
სათავდაცვო		
საერო		

7. საკუთრება (მესაკუთრე/ მესაკუთრეები)

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

დარბაზული ეკლესია ვრცელი მინდვრის კიდეზე, ხევის პირას, სარკინიგზო ხაზის თავზე მდებარეობს. მოზრდილი ნაგებობა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვების შერეული წყობით არის ნაშენი. გამოყენებულია კირხსნარი. შესასვლელი სამხრეთიდან, ფასადის დასავლეთ ნაწილშია გაჭრილი. ღიობი გარედან დიდი არქიტრავის ქვით არის დახურული, შიგნიდან კი შეისრული თაღით სრულდება. აღმოსავლეთ წირთხლში დატანილია მართკუთხა ფოსო, სავარაუდოდ კარის ჩასასმელად. შესასვლელის კიდეები მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვებით არის ამოყვანილი. ეკლესია აღმოსავლეთით, ნახევარწრიული აფსიდით სრულდება, რომელიც დარბაზისგან მკვეთრად გამოკვეთილი კუთხეებით არის გამოყოფილი. ისინი თლილი ქვით არის ნაშენი. აფსიდის თაღოვანი სარკმელი შიგნიდან გარეთ ვიწროვდება. მის ორსავ მხარეს ნახევარწრიული გეგმის მქონე, მაღალი, შეისრული თაღით დასრულებული ნიშებია მოთავსებული. თაღები ერთმანეთზე პირით მიდებული ორი ქვით არის შესრულებული. აფსიდის ჩრდილოეთ კედელზე, კიდევ ერთი, თუმცა შედარებით მცირე ზომის ნიშაა დატანილი. აფსიდის დიდი ნაწილი შელესილია. ის მსუბუქად შეისრული თაღის მქონე კონქით არის გადახურული. ის გადაყვანილია წვრილი ქვით. მისი მცირე ნაწილი ჩამონგრეულია. ჩამონგრეულია მთლიანი კამარაც, ასევე ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ზედა ნაწილები. სამხრეთ კედელზე შემორჩენილია სარკმლის ქვედა ფრაგმენტი. დასავლეთ კედელი ყრუა. შიდა სივრცეში სამშენებლო მასალის ნაწილი ყრია, ამოსულია ბალახი. ფასადები შეუმკობელია. მხოლოდ დასავლეთი ფრონტონის წვერში, გვხვდება წყობაში ბრტყლად ჩასმული აგურებისაგან შედგენილი ჯვრის გამოსახულება. მკლავებს შორის სიბრტყეები ვიწრო წახნაგით ჩვენკენ, ვერტიკალურად განლაგებული ქართული აგურის წყობით არის შევსებული. აღმოსავლეთ სარკმელი ერთიან ქვაში გამოჭრილი დაბალი, მცირე თაღით სრულდება. ნაგებობის სამხრეთ დასავლეთით, ჩამოჭრილ მიწაში ჩანს ქვაყუთი. აქვეა შემონახული მცირეფოსოიანი ქვაც. ეკლესია კედლების წყობით, სხვადასხვა არქიტექტურულ-კონსტრუქციული დეტალითა და სტრუქტურით გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშს წარმოადგენს.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება

ძალიან ცუდი

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

ნაგებობის მდგომარეობა ძალიან ცუდია. ჩამონგრეულია კამარა, კონქიც მცირე ნაწილი, სატრიუმფო თაღი, დასავლეთ კედელზე აღინიშნება დიდი ზომის გამჭოლი ბზარი; დიდი ზომის ბზარები გვხვდება ამავე, სამხრეთ და ჩრდილო კედლებზეც, ასევე აფსიდში და კონქზე; აფსიდში ბზარების დიდი ნაწილი სარკმლისა და ნიშების გარშემოა, გადადის წირთხლებზეც. კონქის შემორჩენილ ნაწილსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე ამოსულია ხეები. ჩრდილო და სამხრეთ კედლების ზედა ნაწილები დანგრეულია, შემორჩენილია სარკმლების მხოლოდ ძირი; შიდა სივრცეში ყრია სამშენებლო მასალის ნაწილი და ამოსულია ბალახი. ინტერიერის მხრიდან, ჩამონგრეულია შესასვლელი თაღის კუთხის წყობა. ფასადზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ნაწილი გამონგრეულია.

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები:

ბზარების ზრდა, შემორჩენილი კედლების მეტად დაზიანება, კონქის ნაწილის ჩამონგრევა.

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი	/
უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა	
უახლესი და საარქივო ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივო წყაროები	

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. დამატებითი ინფორმაცია

X კოორდინატი: 41.8591212; Y კოორდინატი: 44.600362; სწორია

13. ბარათის შემდგენელი

მადონა მშვილდაძე, ლილე აბსანძე, ქეთევან ჯანანაშვილი, გიორგი ბურჯანაძე

14. ბარათის შედგენის თარიღი

2020-07-18